პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

9 მაისი, შაბათი, 1989 წ.
№ 88 (10 007) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

**9**

**მაისი**

**1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების დღესასწაულია**



**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში ჩატარდა ფასიანი ტურნირი ელვისებურ (5-5 წუთიანი პარტიები) ჭადრაკში, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში პირველად გაიმართა.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა 23 მოჭადრაკე. აქედან ერთი საერთაშორისო ოსტატი, ორი ოსტატი, დანარჩენი ოსტატობის კანდიდატები იყვნენ.

22 შესაძლებლიდან 20 ქულით პირველობა არავის დაუთმო ოსტატმა თამაზ ტაბატაძემ, გამარჯვებულს 3 ქულით ჩამორჩა ოსტატობის კანდიდატი ზაზა ხოფერია. 16,5 ქულით კი მესამე ადგილი წილად ხვდა ოსტატ ალექსანდრე ბოკუჩავას.

სურათზე: ელვისებური ტურნირის ეპიზოდი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# არ დაგვიბერდეთ, ვეტერანებო!

სწორედ მაშინ გაწვიმდა, როცა ისინი სამახსოვრო სურათის გადასაღებად კიბეზე გამწკრივდნენ, „წვიმის გადაღებას დაველოდოთ?“ — იკითხა ფოტოკორესპონდენტმა. მაგრამ ვეტერანებმა არ მოინდომეს დაშლა. აბა, წვიმას რა უნდა დაეკლო ჩვენი მოხუცებისთვის, ამაზე უარესიც ბევრი შეხვედრიათ ცხოვრებაში...

ჰოდა, იდგნენ ასე წვიმაში, არც თავზე გადაუფარებიათ არაფერი და არც არსად შეუფარებიათ თავი, ოღონდ ეგაა, წვიმას მოარიდეს სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები, საქართველოს სპორტსახკომში რომ გადასცეს. „რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში დიდი დამსახურებისათვის — ნათქვამია ოფიციალურ საბუთებში, — და დიდ სამამულო ომში გამარჯვების 44-ე წლისთავთან დაკავშირებით“... კარგი სიტყვები ითქვა, საზეიმო. ყველაფერი სწორია: სპორტის განვითარების საქმეშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩვენმა ვეტერანებმა, და გერმანიის ფაშიზმზე გამარჯვებაშიც... ოღონდ განწყობილება ვერა აქვთ ჩვენს ვეტერანებს მაინცდამაინც საზეიმო: აქვე, გვერდით, როგორც ციური ცრემლები, წვიმა ასველებს გვირგვინს, რომელიც კადრში არ მოხვდა. აი, ახლა, გაიჩხაკუნებს ფოტოაპარატი, დაქოქავენ ვეტერანები თავიანთ „ზაპოროჟეცებს“ და სიონისკენ წავლენ, პატივს მიაგებენ დაღუპულებს...

ბევრი უნახავთ, ბევრი გადახდენიათ ჩვენს ვეტერანებს. ასე სევდიანი 9 მაისი კი არასოდეს ყოფილა მათ ცხოვრებაში...

**ბებო გოთორიშვილი.**



ვეტერანები სპორტსახკომის ხელმძღვანელებთან ერთად.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

# ვასილ დავიდენკო ორჯერ მეორე იყო

**ალუშტა.** როგორც ვიუწყებოდით, აქ დაიწყო ახალგაზრდულ საკავშირო თამაშებში შემავალი ვაქთა მრავალდღიანი ველორბოლა. მკითხველებმა უკვე იციან, რომ პროლოგში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ვასილ დავიდენკომ მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. ახლა უფრო დაწვრილებით გაგაცნობთ შედეგებს: 1. ა. ციკუნოვი (მოსკოვი) — 5.21,57, 2. ვ. დავიდენკო (საქართველო) — 5.21, 87, 3. ა. აბდურახმანოვი (ლენინგრადი) — 5.21,90.

ამის შემდეგ ჩატარდა პირველი ეტაპი — რბოლა რკალურ ტრასაზე (131 კილომეტრი), დისტანცია ყველაზე სწრაფად რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელმა პ. ტონკოვმა გაიარა — 3:24.15. მეორე ადგილი ამჯერადაც ვ. დავიდენკოს ხვდა, მესამე კი — რუსეთის მეორე ველოსიპედისტმა ო. კოზლიტინმა დაიკავა (დრო ორივეს ერთნაირი ჰქონდა) 3:26.14.

პირად ჩათვლაში ლიდერობა ხელთ იგდო პაველ ტონკოვმა.. მეორე ადგილზეა ვასილ დავიდენკო, რომელიც დაწინაურებულს 2 წუთით ჩამორჩება.

# 16 გუნდს აჯობეს

**ფაქტობრივად** საკავშირო პირველობად გადაიქცა მოლდავეთის მოსწავლეთა ღია ჩემპიონატი ტყვიის სროლაში: კიშინიოვში თავი მოიყარეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდებმა. შეჯიბრება სახალხო განათლების სამინისტროს ეგიდით მიმდინარეობდა.

დიდი წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს სპორტსმენები, ჩვენი 12-კაციანი გუნდი ძირითადად თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს კომპლექსური სპორტული სკოლის (დირექტორი ემზარ კიკაბიძე, უფროსი მწვრთნელი ტყვიის სროლაში კიმ ფოტიევი) მოსწავლეებით იყო დაკომპლექტებული, მხოლოდ ერთი მსროლელი იყო ქუთაისიდან. მათ გუნდურ პირველობაში ყველა მეტოქე ჩამოიტოვეს უკან.

საქართველოს ნორჩ სნაიპერებს არანაკლები წარმატება ჰქონდათ პირად პირველობაშიც: ნიკო გაბუნიამ პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი და ამასთან ერთად სამი მედალი დაიმსახურა. იგი პირველობდა მპ-11 ვარჯიშში (371 ქულა), პპ-2 (386) დაიკავა მეორე ადგილი, მპ-5 (574) ვარჯიშში — მესამე.

ასევე ოსტატობის ნორმატივი შეასრულა და მაღალი შედეგებით ორი პირველი ადგილი დაიკავა დავით შიუკაშვილმა მპ-5 (589) და პპ-2 (390) ვარჯიშებში.

ელა პანკოვამ მოიგო შეჯიბრება პპ-2 ვარჯიშში — 380 ქულა. იგორ ონოპკომ ერთი მეორე და ერთი მესამე ადგილი დაიკავა.

ურიგოდ არ გამოსულან ეკა ქუთათელაძე, ზელა ნავრუზოვა (IV ადგილები) და გიორგი კუხალაშვილი (V ადგილი).



### მიეძღვნა კლუბის დაარსებას

**ომის**, შრომისა და პარტიის თბილისის ვეტერანთა საჭადრაკო კლუბში ჩატარდა კლუბის არსებობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საჭადრაკო ტურნირი.

ვეტერანთა შორის ყველას აჯობეს პირველთანრიგოსნებმა შოთა გელოვანმა და შოთა გურგენიძემ (24,5-24,5 ქულა), მორე ადგილზე გავიდა ოსტატობის კანდიდატი გივი ლომაძე — 23 ქულა, მესამეზე კი პირველთანრიგოსანი ნოდარ სირბილაძე — 22,5 ქულა.

**გრიგოლ ანთაძე,**
**მთავარი მსაჯი, ომისა და შრომის ვეტერანი, პირველთანრიგოსანი.**

## მოკლედ

**ოდესაში** დამთავრდა მოზარდთა საკავშირო ტურნირი 1977 წელს დაბადებულ ჩოგბურთელთა შორის. საუკეთესოდ იასპარეზეს თბილისელმა სპორტსმენებმა. ბიჭებს შორის გაიმარჯვა 29-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ალექსანდრე ბურჭულაძემ, გოგონებში — 169-ე სკოლის მოსწავლემ ნინო შავიძემ. ბიჭებში მესამე ადგილზე გავიდა ირაკლი კუნჭულია.

გამარჯვების დღეს მიეძღვნა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებული ბავშვთა ექსპერიმენტული სპორტული სკოლის (დირექტორი ნ. ლობჟანიძე) შეჯიბრება მძლეოსნობაში. ნორჩები გამარჯვების პარკთან შეიკრიბნენ, გვირგვინით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი, შემდეგ ჩატარდა გარბენები სხვადასხვა დისტანციაზე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.





აჭარის სპორტული ცხოვრება

# კვლავაც გვეხილოს

**ამას** წინათ ბათუმში გამოკრული აფიშა იტყობინებოდა, რომ „სპარტაკის" დარბაზში გაიმართება ქალაქის პირად-გუნდური (!) პირველობა... კრივში. ფაქტობრივად კი შეჯიბრებაში ერთადერთი — განათლების განყოფილების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

დიახ, ასე ჩამორჩა აჭარაში კრივი და ლამის უკვალოდ გაქრა მისი ის მდიდარი ტრადიციები, წლების განმავლობაში რუდუნებით რომ ქმნიდნენ და განამტკიცებდნენ აქაური ტყავის ხელთათმანის ოსტატები.

50-60-იან წლებში, მოკრივეთა შეჯიბრებაზე ქალაქის ცირკში ნემსის ჩასავარდნი ადგილი არ იყო. ოღონდაც, აქ გამართულ რინგზე გამოდიოდნენ ისეთი აღიარებული ოსტატები, როგორებიც იყვნენ ნიკოლოზ კოროლკოვი, ალგირდას შოციკასი, ძმები სარბაისლები, თათეოზ მიქაელიანი, სხვები. ადგილობრივი კერპებიც ჰყავდათ ბათუმელებს — რევაზ ბასილია, გიორგი კვაჭაძე, შაქრო ხუდოიანი, ვანო ეკიზიანი, ვახტანგ კუპატაშვილი, იგორ გაიდამაკი, რაფაელ ბიძიანი, გიორგი ტულუში. მართალია, ისინი არ ფლობდნენ უმაღლეს ტიტულებს, მაგრამ მათი მონაწილეობით გამართული ასპარეზობანი, რომლებიც გამოირჩეოდა ვაჟკაცური, რაინდული სულისკვეთებით, მაყურებელთა ცხოველ ინტერესს იწვევდა. ავიღოთ თუნდაც ადგილობრივი შეჯიბრება. „სპარტაკი", „დინამო", „პიშჩევიკი", „ბურევესტნიკი", „კოლმეურნე", „ტრუდი"... „მედიკი"... ეს არის არასრული სია იმ გუნდებისა, რომელთა მონაწილეობითაც იმართებოდა ჩემპიონატები და მართლაც ჰქონდა აზრი პირად-გუნდური ჩემპიონატის ჩატარებას.

აი რას ამბობს კრივის ძველი ბათუმელი გულშემატკივარი, ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკი რ. გვარიშვილი: — ზოგჯერ შეჯიბრება სამუშაო საათებში იმართებოდა. ამის მიზეზი გახლდათ მონაწილეთა დიდი რაოდენობა და შეჯიბრების ორგანიზატორები დროის დეფიციტს განიცდიდნენ. ჰოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, იძულებული ვიყავი გამოვპარულიყავი სამუშაოდან. განა მარტო მე? ასობით ბათუმელი იქცეოდა ასე. ერთი კი იყო, რომ შემდეგ შაბათ-კვირას ვანაზღაურებდით გაცდენილ სამუშაოს. ბილეთებზე კარგა ხნით ადრე უნდა გეზრუნათ. რატომ მომწონდა მაშინდელი კრივი? (აბა, ახლანდელს არ ვიცნობ) ეს იყო ნამდვილად სპორტის ვაჟკაცური სახეობა.

დღეს ყველას აფიქრებს: რატომ ჩამორჩა, რატომ აღმოჩნდა ასეთ სავალალო მდგომარეობაში სპორტის ეს სახეობა ასეთი მდიდარი ტრადიციების ქალაქში?

ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი სასპორტო საზოგადოებათა რიცხვის შემცირება გახლავთ. მაინც რამდენი ასეთი საზოგადოებაა ახლა ბათუმში? „დინამო", პროფკავშირთა, „ვოდნიკი". ეს არის სრული სია. არც ერთში არ მუშაობს კრივის სექცია. განათლების განყოფილების სექციების ხარჯზე კი შორს ვერ წახვალთ. კრივში, ცურვის, ტანვარჯიშისა და ჭადრაკისაგან განსხვავებით, სპორტსმენის უმაღლესი შედეგი უფროს ასაკში ვლინდება, ასეთი ასაკისა და რანგის მოკრივე კი ბათუმს დღეს არა ჰყავს და ასეთ ვითარებაში არც მომავალში ეყოლება. ნორჩი მოკრივეები გამოდიან თუ არა სასკოლო ასაკიდან, მათთვის კრივი ფაქტიურად მთავრდება. სპორტულ სკოლებს ისინი აღარ ესაჭიროებათ (ასაკის გამო), ხოლო მოზრდილ მოკრივეთა სექციები არ ფუნქციონირებენ. ჯერ-ორი წელი, ვიდრე უმაღლესში მოეწყობიან ან საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვევენ, კრივს მთლიანად ჩამოშორებული არიან, ხოლო შემდეგ თუ გარკვეული პირობები შეექმნათ ვარჯიშისათვის, ერთობ ძნელია გაცდენილი დროის ანაზღაურება.

თუ რა პირობები აქვთ წვრთნისათვის ნორჩ მოკრივეებს, ამის შესახებ სპორტის ოსტატმა შაქრო ხუდოიანმა თქვა:

— აჭარაში მოკრივეთა 10 ჯგუფი მუშაობს და ათივე ბათუმის განათლების განყოფილებას ეკუთვნის. ამ ჯგუფებში 146 ბავშვია გაერთიანებული. რაც შეეხება სავარჯიშო პირობებს, იგი არადამაკმაყოფილებელია. ვმუშაობთ ბავშვთა სპორტულ სკოლაში, ურინგოდ, რა თქმა უნდა, არც საჭირო ინვენტარი გვაქვს ხარისხიანი და საკმარისი. ჩვენს ქალაქში კრივი რომ წინანდებურად პოპულარული იყოს, საჭიროა სპორტულ ორგანიზაციათა, აგრეთვე ქალაქისა და ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება დაუთმონ მას. არც კვალიფიციური მწვრთნელები გვყავს საკმარისი. მ. გურგენიძე, ს. საროიანი, ბ. ბადალიანი, რ. და ა. პეტროსიანები. აი, მწვრთნელთა სრული სია. მათგან შტატიანი მწვრთნელებია მხოლოდ ს. საროიანი და ბ. ბადალიანი, სხვები საათობრივ ანაზღაურებაზე არიან. საროიანი ჭეშმარიტი ენთუზიასტი მწვრთნელია, რომელიც თავს უყრის საბჭოთა არმიიდან დაბრუნებულ ან უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულ ახალგაზრდებს, რომლებიც ადრე კრივით იყვნენ გატაცებულნი და საზოგადოებრივ საწყისებზე ავარჯიშებს მათ. სად? დარბაზი თუ თავისუფალია, თუ არა და მოგვჭამა ჭირი ვარჯიშმა. ასე რომ, ამ შემთხვევაშიც ვარჯიში სისტემატური არ არის და, ბუნებრივია, ეფექტიც არადამაკმაყოფილებელია.

ბოლო წლებში მოზარდთა კრივს ბათუმში ერთგვარი გაუმჯობესება ეტყობა. ახლა აქაური ნორჩი სპორტსმენები რესპუბლიკური ფინალური ტურნირების მონაწილენიც არიან. გამოჩნდნენ პერსპექტიულნიც — ი. ლაჭავა, გ. აბაშიძე, ე. სარუხანიანი, ზ. დავითაძე საქართველოს მოსწავლე მოკრივეთა ნაკრები გუნდის კანდიდატები არიან. მაგრამ ჯერჯერობით ეს არის და ეს. ასეთი სურათი წინსვლას ვერ განაპირობებს.

დასანანია ისიც, რომ უკანასკნელ წლებში ბათუმში არ ჩატარებულა მოკრივეთა მაღალი რანგის ტურნირი. ხომ ჭეშმარიტებაა: რაც მეტი შეჯიბრება ეწყობა სპორტის ამა თუ იმ სახეობაში, მით უფრო პოპულარული ხდება იგი. ეს კი განაპირობებს სპორტის მასობრიობას, რაც ყველა წარმატების თავი და თავია. ბათუმი და ბათუმელები ახლო მომავალში მოელიან ასეთ ასპარეზობებს. ღმერთმა ქნას და ბათუმის ცირკში კვლავინდებურად ვიხილოთ გამართული რინგი, ტყავის ხელთათმანის აღიარებულ ოსტატთა გამოსვლები და... ნემსის ჩასავარდნი ადგილი არ იყოს.

**ლევან ქავჟარაძე,**
**„ლელოს" საკ. კორ.**
ბათუმი.

## აჭარის მინისტრთა საბჭოს პრიზზე

**აჭარის** ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრიზი — ასე ეწოდება ამიერიდან ჩოგბურთელთა შეჯიბრებას, რომელიც ადრე ბათუმის ტრადიციულ საკავშირო ტურნირად იყო ცნობილი. ამავე დროს ეს აჭარის ღია პირველობასაც წარმოადგენს.

ახლანდელ ასპარეზობაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, კიევის, ერევნის, თბილისისა და ბათუმის წარმომადგენლები — 16 ქალი და 24 ვაჟი.

ქალთა შორის გაიმარჯვა გამოცდილმა ერევნელმა ოსტატმა ლარისა ოესეფიანმა. მეორე იყო თბილისელი ეკა ბოკუჩავა, მესამე — მოსკოველი ნატალია ნეკრასოვა. ვაჟებში უძლიერესი იყო თბილისელი ალექსანდრე სიმონიანი. მომდევნო ადგილებზე არიან მისი თანაგუნდელი დავით კვარაცხელია და კიეველი იური სტეცენკო.

წყვილთა შორის, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა თანრიგში, თავი ისახელეს თბილისელმა ჩოგბურთელებმა ეკა ბოკუჩავამ და ეკა თოხაძემ, დავით კვარაცხელიამ და დიმიტრი ტენტერიანმა.

**არტემ მალაიანცი,**
**საკავშირო კატეგორიის მსაჯი, შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**

### მესხეთის მიწაზე

## ტრადიცია ცოცხლდება

**მესხეთის** უძველეს მიწაზე შორეულ წარსულში სიჩაუქეც ისევე ჰყვაოდა თურმე, როგორც საერთოდ ჩვენი კულტურული ცხოვრება. მკვლევარები იმასაც ვარაუდობენ, რომ აქ ოდესღაც ოლიმპიური თამაშების მსგავსი ასპარეზობებიც ტარდებოდა. რა დასამალია, ეს კუთხე ბოლო წლებში, რაც დღემდე გრძელდება, თითქმის მოწყვეტილია რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებას. მით უფრო მისასალმებელია ასპინძის განათლების ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის (დირექტორი ლიზა შემაზაშვილი) თაოსნობა მესხეთში ხელმეორედ აღადგინოს სპორტული ტრადიციები. ხელმეორედო ვამბობთ იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ამ საუკუნის 30-იან წლებში აქ თბილისიდან ენთუზიასტები ჩამოდიოდნენ, ნერგავდნენ სპორტის სახეობებს. შემდეგ კი, სამწუხაროდ, ენთუზიაზმი ისევ მინელდა.

წელს რაიონში დაიწყეს ზამთრის სპორტის სახეობების აღდგენაზე ზრუნვა. ჩატარდა თხილამურებით რბოლა მოსწავლეთა შორის. შეჯიბრებაში გამოვიდნენ სოფლების ასპინძის, დამალის, ოსკერიის, ძველის, ჰობრეთის, ნაქალაქევის, ოშორის, რუსთავის, თოკის, ვარაგვის, ოთის, თმოგვის სკოლების მოთხილამურეები. როგორც ლ. შემაზაშვილმა გვაცნობა, შეჯიბრება ნამდვილ სპორტულ ზეიმად იქცა. საშუალო სკოლებს შორის ადგილები ასე განაწილდა: 1. ოსკერია, 2. ნაქალაქევი, 3. ძველი. არასრულ საშუალო სკოლებს შორის პირველები ოთელები იყვნენ, მეორე ადგილზე გავიდნენ ვარაგვის, მესამეზე თოკის სკოლის მოსწავლეები.

ახლა ჯერი მიდგა სპორტის საზაფხულო სახეობებზე. სპორტსკოლას რაიონის ხელმძღვანელობა ყოველმხრივ დახმარებას უწევს.

**„ლელოს" საკ. კორ.**
ასპინძა.

ნუ წავუყრუებთ...

# ქართული ჭიდაობის ავტორიტეტს საფრთხეს ნუ შევუქმნით

**უკვე** შესამჩნევია, რომ გაძლიერდა მუშაობა ქართული ჭიდაობის შემდგომი განვითარებისათვის. საამისო „მატერიალურ საშუალებად", პირველ რიგში, ოფიციალური რესპუბლიკური პირველობები ჩაითვლება, ცალკეულ სოფლებსა და რაიონებში მიმდინარე მცირე ტურნირებზე რომ არაფერი ვთქვათ.

ადრინდელ ნათქვამს ვიმეორებთ, ქართული ჭიდაობისთვის მეტად სასარგებლო გამოდგა სოფლებისა და ქალაქების უბნების პირველობა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე. ეს მრავალეტაპიანი, გრძელვადიანი ასპარეზობა მუდმივ „ტონუსს" უნარჩუნებს სპორტსმენებსაც და გულშემატკივრებსაც, აშკარად ზრდის ინტერესს ქართული ჭიდაობის მიმართ.

ოღონდ ეგ არის, ზოგიერთი, ასე ვთქვათ, თავისებურება ნაწილობრივ აქარწყლებს პირველობის სარგებლიანობას. თავიდანვე კი ნათქვამი იყო, რომ ქართული ჭიდაობის ჯერ კიდევ გაუმართავი სტრუქტურის პირობებში ხარვეზებს ვერ ავიცილებდით ამ შეჯიბრების ჩატარებისას, მაგრამ თუ ამას შევეგუეთ და დავხუჭეთ თვალი, კარგი დასაწყისის მეტი ხელთ აღარაფერი შეგვრჩება.

პირველ რიგში მსაჯობის საკითხს გვინდა შევეხოთ, რადგან ყველაზე მეტად ის ხდება ხოლმე ინციდენტების წყარო. ასეთ ტურნირებზე მსაჯობა, საერთოდ, მეტად ძნელი საქმეა. თითქმის ყველა გულშემატკივარი ასე თუ ისე ერკვევა ქართული ჭიდაობის წესებში და, ეკითხება თუ არა, ბევრი ცდილობს თავისი აზრი მოახვიოს შეჯიბრების ორგანიზატორებსა და მსაჯებს. ამასთან, ქართული ჭიდაობა ფაქტობრივად საზოგადოებრივ საწყისებზე ვითარდება და ამის გამო, იგი ძნელად სამართავია, საქმეში ხშირად ერევიან არაოფიციალური პირები, რაც კიდევ უფრო ართულებს ხშირად წამოჭრილ კრიტიკულ სიტუაციებს.

მაგრამ ის, რაც მოხდა 6 მაისს თბილისში, კიროვის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში, მარტო გახე ჩარევის შედეგი არ გახლავთ. მსაჯთა ორჭოფობამ, ყოყმანმა და გადაწყვეტილებათა ცვლამ დიდი ეჭვები გამოიწვია გულშემატკივართა შორის და ცოტა დარჩა, ინციდენტამდე არ მიიყვანა საქმე.

იმ დღეს მერვედფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ კასპის რაიონის სოფელ ხანდაკისა და ქარელის რაიონის სოფელ ფცის გუნდები. ერთიც და მეორეც ყოველთვის ძალზე ძლიერი მოჭიდავეებით გამოირჩევა და საერთოდ მათი მონაწილეობა აშკარად ალამაზებს და ინტერესს მატებს შეჯიბრებას.

**! ამჯერადაც ფავორიტთა შერკინება უკომპრომისოდ, დიდი აზარტით მიმდინარეობდა. რვა ორთაბრძოლის შემდეგ ანგარიში თანაბარი იყო — 4:4. გადამწყვეტ შეხვედრაში გია თოთლაძე უგებდა ხანდაკელ დავით ხოდელს — 2:0. ხოდელმა ბოლოს მოახერხა ილეთის ჩატარება. ეს ფანდი ზოგმა მსაჯმა 2 ქულად შეაფასა, ზოგმა — ერთ ქულად. ამაზე ატყდა მთელი ის ამბავი... განსაკუთრებით ცხარობდნენ ქარელელები, რომლებიც ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან. ფიური კი კარგა ხნის თათბირის შემდეგ ის ილეთი 2 ქულად შეაფასა და შეხვედრა ფრედ დამთავრებულად გამოაცხადა. „ხუთი მსაჯიდან სამი კასპელია და აბა რას გვიზამდნენ", — ამტკიცებდა ფცის გუნდის ზოგიერთი ქომაგი. ჩვენ, ცხადია, ფიქრადაც არ მოგვდის მსგავსი ბრალდება წავუყენოთ მსაჯებს, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ გულშემატკივრები დარწმუნებული არიან მიდგომაში, მეტად სამწუხარო ამბავია.**

**დამატებით შეხვედრაში ხანდაკელმა რამაზ გოგიაშვილმა — ცნობილმა სამბისტმა, თოთლაძეს სძლია (3:1) და გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს — 5:4. „ჩვენ აღარ ჩამოვალთ მომავალ შეჯიბრებებზე, ასეთ პირობებში აზრი აღარ აქვს ჭიდაობას" — განაცხადეს ქარელელებმა. ცხადია, მეტად დასანანი იქნება, თუ ასეთი ძლიერი კოლექტივი გამოაკლდება პრიზის გათამაშებას.**

**წაგებულებმა პროტესტი შეიტანეს. ქულას, ცხადია, აღარ გამოჰკიდებიან (აზრიც არ ჰქონდა ამას), ოღონდ მეტოქეს ბრალდება წაუყენეს, სხვა რაიონის სპორტსმენი გამოიყვანაო. შეჯიბრების ორგანიზატორები პროტესტს განიხილავენ და პასუხსაც მოგვიანებით გაცნობებთ.**

იმ დღეს პირველი შეხვედრა ქუთაისისა და ყვარლის გუნდებს შორის უფრო მშვიდობიანად ჩატარდა, გაიმარჯვეს ქუთაისელებმა 6:3, ისინი მეოთხედფინალში გავიდნენ.

მეორე დღეს, კვირას, კიდევ ორი შეხვედრა გაიმართა, თუმცა, თუ მოჭიდავე წყვილებს დაითვლიდით, მათი რაოდენობა ორი სრული გუნდის შემადგენლობასაც ვერ შეავსებდა. საქმე ის იყო, რომ კაჭრეთელებმა (გურჯაანის რაიონი) მხოლოდ სამი სპორტსმენი გამოიყვანეს გორის მოჭიდავეთა წინააღმდეგ და რასაკვირველია დამარცხდნენ — 1:8. აქ მხოლოდ ერთი შეხვედრაა აღსანიშნავი — ოთარ ონიანმა (გორი) ლამაზი გამარჯვება მოიპოვა თავისზე გაცილებით მძიმე იოსებ ჩახვაშვილთან შეხვედრაში.

მცირერიცხოვანი მაყურებელი ინტერესით ელოდა სოფელ ქისტაურისა (ახმეტის რაიონი) და თელავის გუნდების შეხვედრას. ახმეტელთა გუნდის სახელით ბევრი კარგი ფალავანი უნდა გამოსულიყო: დავით ბაგაური, ზურაბ სამუკაშვილი, ვასილ ომარაშვილი, რომან უძილაური, გრიგოლ გავარდაშვილი, ზაქრო ებელაშვილი, ნუგზარ დავითაშვილი... მაგრამ მაყურებელს იმედი გაუცრუვდა, თელაველებმა მხოლოდ ორი (!) მოჭიდავე გამოიყვანეს და აბა რაღა ჭიდაობა იქნებოდა? გულშემატკივრები აღშფოთდნენ, „თავიდანვე გეთქვათ, თუ ასე იქნებოდა საქმე, ჩვენც აღარ მოვიდოდითო". ზოგიერთი გუნდის ასეთი დამოკიდებულება შეჯიბრებისადმი, ისიც მეოთხედფინალის მისადგომებთან, რბილად რომ ვთქვათ, ძალზე საკვირველია.

შეჯიბრების შემდეგ ჩატარდა მეოთხედფინალური წყვილების წილისყრა: ვაყა (ხაშურის რაიონი) — პატარძეული (საგარეჯოს რაიონი); გორი — ქუთაისი; ქისტაური (ახმეტის რაიონი) — ქორდა (გორის რაიონი). როდესაც ორგანიზატორები საბოლოოდ გაარკვევენ ზემო ხანდაკისა და ფცის გუნდების შეხვედრის შედეგს, გამარჯვებული შეხვდება მცხეთის რაიონის სოფელ წინამძღვრიანთკარის მოჭიდავეებს.

**გიორგი ჩოჩიშვილი.**





## სსრ კავშირის საფეხბურთო კავშირის თასზე

**„დინამო“ (თბილისი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 1:0 (1:0).**
**თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 7 მაისი.**
**„დინამო“: ხაპოვი, გელაძე, ცვეიბა, მაჭავარიანი, არზიანი. ჯამარაული, არველაძე, ლ. ყიფიანი (თ. ყიფიანი, 61), კერძევაძე, ჟაველაშვილი, ხურცილავა.**
**„ჟალგირისი“: ბრაუნისი, უუკასი, ჟეკასი, კაკალიაუსკასი (ვასილიაუსკასი, 46), შულჩუსი, კაპუსტასი, რინკუსი, ტერეშკინი, შუგჟდა, ზდაჩუსი, სავიცკასი (მიკა, 59).**
**მსაჯი — ე. სილაგავა (თბილისი).**
**გააფრთხილეს: უუკასი, კაპუსტასი, შუგჟდა, მაჭავარიანი.**

ორივე გუნდის ხელმძღვანელობამ ამ შეხვედრაში თავის გამოჩენის საშუალება ახალგაზრდა ფეხბურთელებს მისცა. სწორედ მსგავს ასპარეზობებზე უნდა აიმაღლონ სათამაშო კლასი ტყავის ბურთის მომავალმა ოსტატებმა. საფეხბურთო კავშირის თასი ის გათამაშებაა, სადაც ახალგაზრდა ფეხბურთელებს სრულად ეძლევათ თავის გამოჩენის საშუალება. ანალოგიურ პირველობებზე ხომ ყველა უმაღლესი ლიგის გუნდი თითქმის სათადარიგო მოთამაშეებით ასპარეზობს.

7 მაისს ქართველ გულშემატკივრებს იმედი არ გაუცრუვდათ. დინამოელებს ცდა არ დაუკლიათ, რომ ლამაზი, შემტევი ფეხბურთი ეჩვენებინათ.

ვილნიუსელებთან გამართული შეხვედრის პირველი ნახევარი თბილისელთა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ ჩვენი კარის დარაჯს მხოლოდ ოთხჯერ მოუწია ბურთის თავისუფალი დარტყმით თამაშში შეყვანა, სხვა სახიფათო მომენტი პირველ ნახევარში სტუმრებს ჩვენ კართან არ შეუქმნიათ. ამავე პერიოდში მასპინძლებს შეეძლოთ სოლიდურად დაწინაურებულიყვნენ ანგარიშში, მაგრამ გადამწყვეტ დარტყმებს სიზუსტე აკლდა. დინამოელები გოლის გატანას ინდივიდუალური გარღვევებით ცდილობდნენ, რასაც სასურველი შედეგი არ მოჰყოლია, მხოლოდ ნახევარმცველი არველაძე იღებდა სწორ გადაწყვეტილებებს, როცა შორი მანძილიდან რამდენჯერმე სცადა მეტოქის კარის აღება. მიუხედავად ამისა, თბილისელებს მინიმუმ 4-ჯერ მაინც შეეძლოთ დაწინაურება, — და თუ ეს მათ ვერ მოახერხეს, პირველ ყოვლისა ვილნიუსელთა კარის დარაჯის ბრაუნისის დამსახურებაა, მან უშეცდომოდ ჩაატარა მთელი მატჩი.

სანახაობრივად უფრო საინტერესო გამოდგა შეხვედრის მეორე ნახევარი. თბილისელთა იერიშებს სტუმრები კონტრშეტევებით პასუხობდნენ. 70-ე წუთზე მრავალსვლიანი კომბინაციის შემდეგ გ. ხურცილავა პირისპირ რჩება მეკარესთან, მისი დარტყმა მიზანს აღწევს — 1:0. რამდენიმე წუთიც და... ჯამარაულ-კერძევაძის ლამაზად გათამაშებული კომბინაციის შემდეგ ეს უკანასკნელი პირისპირ რჩება მეკარესთან, გოლი თითქოს გარდუვალი იყო, მაგრამ მცველებმა იგი აკრძალული ილეთით შეაჩერეს. 11-მეტრიანს თვით დაზარალებული ურტყამს, მაგრამ ბრაუნისმა ამჯერადაც გამოიცნო ბურთის მიმართულება და ლამაზი ნახტომით იხსნა კარი.

ამის შემდეგ სტუმრებს იმედი მიეცათ, მატჩის გადარჩენაზე უფრო გაბედულად იწყეს ფიქრი, ერთ-ერთ ეპიზოდში თბილისელთა კარი ძელმაც იხსნა. შეხვედრის ბოლო წუთები თანაბარი ბრძოლით აღინიშნა, გოლის გატანის კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ ორივე გუნდის თავდამსხმელებს, მაგრამ დარჩენილ დროში ცვლილება ანგარიშში აღარ მომხდარა.

თბილისის საქარხნო რაიონის მიერ დაწესებული პრიზები საუკეთესო მოთამაშეებისთვის მეკარეებს ბრაუნისს და ხაპოვს გადაეცათ.

**ზაზა კახაძე.**

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ-90

# თურქეთი—სსრ კავშირი

**მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის წინ**

**ხვალ** სტამბოლში შედგება მსოფლიოს 1990 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის მეტად მნიშვნელოვანი შესარჩევი მატჩი ევროპის ზონის III ჯგუფის გუნდებს შორის. თურქი ფეხბურთელები თავიანთ მინდორზე ეთამაშებიან სსრ კავშირის ნაკრებს.

სსრ კავშირის ნაკრებთან შესახვედრად თურქები საგანგებოდ ემზადებოდნენ, გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ტინაზ ტირპანმა განაცხადა, რომ ახალ ფეხბურთელებს იგი აღარ ეძებს, მას აღარ სჭირდება ზრუნვა ძლიერი გუნდის შესაქმნელად, ასეთი გუნდი მას უკვე მზადა ჰყავს.

მართლაც, ფეხბურთი თურქეთში ბოლო ხანებში სწრაფი პროგრესის გზით წარიმართა, როგორც ხედავთ, ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მოხვედრის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია, სტამბოლის „გალათასარაი“ ევროპის ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში გავიდა, რამდენიმე თურქმა ფეხბურთელმა კი საერთაშორისო აღიარება ჰპოვა, მათ შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ევროპის „ოქროს ბუცის“ მფლობელი ტანჟუ ჩოლაკი, ვინც მსოფლიო ჩემპიონატის ისტორიას ყურადღებით ადევნებს თვალს, მხედველობიდან არ გამორჩებოდა ის, რომ თურქეთის ფეხბურთელები ფინალში უკანასკნელად... 1954 წელს მონაწილეობდნენ. ტ. ტირპანის სიტყვებით ამ ქვეყანაში ფეხბურთის მოყვარულები იმ იმედით ცხოვრობენ, რომ მათი გუნდი თითქმის 35 წლის შემდეგ კვლავ შეძლებს მსოფლიოს საფეხბურთო ელიტაში ადგილის დაკავებას. ტ. ტირპანის განკარგულებაში ამჟამად თურქეთის ყველა საუკეთესო ფეხბურთელია, კერძოდ კი — მეკარე ენგინი, მცველები იუსუფი და გეკხანი, ნახევარმცველები უგური და ოგიები, თავდამსხმელები ფეიაზი, ჩოლაკი და სხვები.

მაგრამ ამავე დროს ძნელი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა საბჭოთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვ. ლობანოვსკი. ტრავმების გამო გუნდს გამოაკლდნენ დაცვის ძირითადი მოთამაშეები ა. დემიანენკო, ვ. ხიდიატულინი, აგრეთვე, თავდამსხმელი ს. როდიონოვი, საეჭვოა მატჩში ი. ბელანოვის მონაწილეობა. ამიტომაც ვ. ლობანოვსკის სავარაუდო განაცხადი ასე გამოიყურება: მეკარეები რ. დასაევი („სევილია“, ესპანეთი) და დ. ხარინი („დინამო“, მოსკოვი); მცველები — ო. ლუჟნი („დინამო“, კიევი), გ. კეტაშვილი („დინამო“, თბილისი), ს. გორლუკოვიჩი („ლოკომოტივი“, მოსკოვი), ო. კუზნეცოვი („დინამო“, კიევი), ა. ზიგმანტოვიჩი („დინამო“, მინსკი); შუა ხაზისა და თავდასხმის მოთამაშეები — ვ. რაცი („ესპანიოლი“, ესპანეთი), ვ. კულკოვი („სპარტაკი“, მოსკოვი), გ. ლიტოვჩენკო („დინამო“, კიევი), ს. ალეინიკოვი („დინამო“, მინსკი), ა. მიხაილიჩენკო („დინამო“, კიევი), ი. დობროვოლსკი („დინამო“, მოსკოვი), ა. ზავაროვი („იუვენტუსი“, იტალია), ო. პროტასოვი („დინამო“, კიევი), ი. სავიჩევი („ტორპედო“, მოსკოვი), ა. ბოროდიუკი („დინამო“, მოსკოვი), ი. ბელანოვი („დინამო“, კიევი).

მსოფლიო ჩემპიონატის ამ მეტად საინტერესო შესარჩევ მატჩს 10 მაისს ცენტრალური ტელევიზიის I პროგრამით ვიხილავთ 20 საათსა და 20 წუთიდან თბილისის დროით.

და, ბოლოს, გთავაზობთ შესარჩევი ჯგუფის დღევანდელ მდგომარეობას:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სსრ კავშირი** | 3 | 2 | 1 | 0 | 6-1 | 5 |
| **თურქეთი** | 4 | 2 | 1 | 1 | 8-5 | 5 |
| **ავსტრია** | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 2 |
| **ისლანდია** | 3 | 0 | 2 | 1 | 2-4 | 2 |
| **გდრ** | 4 | 1 | 0 | 3 | 3-8 | 2 |

უახლოესი მატჩი III შესარჩევ ჯგუფში 17 მაისს შედგება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ავსტრიის გუნდებს შორის, 31 მაისს კი საბჭოთა ფეხბურთელები შინ მიიღებენ ისლანდიის ნაკრებს.



## სსრ კავშირის ჩემპიონატი რაგბიში

**თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 7 მაისი.**
**„ელმავალი“ (თბილისი) — „ზვეზდა“ (ტაშკენტი) 30:3 (21:3).**
**„ელმავალი“: საცერაძე; ვაშაძე, კლდიაშვილი, ჭეიშვილი, მანთიძე; თავაძე, გაბრიჩიძე; ბაკურაძე, კაკაბაძე, შუბითიძე (ც. გიუნაშვილი, 56); მონიავა, მექვაბიშვილი, ხუადე, ჯაფარაშვილი; გ. გიუნაშვილი.**
**„ზვეზდა“: პოპოვი; სახანოვი, ციგანოვი, პოტაპენკო, კოკიევი; კოლეშინი, მერედოვი; კანახინი (ტიუმენევი, 74), ბელოგლაზოვი, გერასიმენკო; შამალო, ვერგუნი, ზიანუროვი (უტეშევი, 44), ურუზოვი; პერეპიოლკინი.**
**მსაჯი — იური კიიანოვი (მოსკოვი).**
**გოლები: „ელმავალი“ — 3 ლელო (32,64: კლდიაშვილი; 36, ჭეიშვილი) გარდასახვებითურთ (საცერაძე), 4 საჯარიმო (7, 11, 39, 74: საცერაძე); „ზვეზდა“ — საჯარიმო (3, სახანოვი).**

თამაში თბილისელებმა ისეთი ანგარიშით მოიგეს, კომენტარი, რომ იტყვიან, ზედმეტია. და მაინც...

„ზვეზდა“ სრულიადაც არ ყოფილა ხელწამოსაკრავი აუტსაიდერი. ტაშკენტელები თურმე მეტოქის მოედანზეც საკმაოდ გაბედულად თამაშობენ, იერიშებს საკუთარი ნახევრის სიღრმიდანაც იწყებენ, მორკინალები კი მიწაზე დავარდნილი ბურთისათვის ბრძოლაში ტოლს არავის უდებენ. მაგრამ ამ ღირსებებთან ერთად მათ ნაკლიც მრავლად ჰქონიათ: ერთი რომ, აუტიდან მოწოდებული ბურთის მოგების შემდეგ მისი უკანა ხაზისათვის გადაცემა უჭირდათ; მეორეც, თავად უკანა ხაზიც ბევრს სცოდავდა დაცვაში თამაშისას; დაბოლოს, გუნდს არაფერი აღმოაჩნდა, „ელმავლის“ ტაქტიკისათვის რომ დაეპირისპირებინა.

უეჭველია ისიც, რომ ამ დღეს „ელმავალს“, პირველი ტაიმის ბოლო ათწუთიან მონაკვეთს თუ არ ჩავთვლით, მაინცდამაინც კარგად არ უთამაშია.

თამაში მაინც იქმნებოდა საგულისხმო მომენტებიც. ამ მხრივ აღსანიშნავია „ელმავლის“ ნახევარმცველთა და შუამარბთა მარჯვე მოქმედება, განსაკუთრებით კი თავაძის თამამი რეიდები და ჭეიშვილის „მაღალი“, სამმეოთხედეებისათვის გამიზნული დარტყმები. „ელმავალმა“ თუ რაიმეს მიაღწია, ისევ და ისევ ამგვარი თამაშით. პირველ ტაიმში გატანილი ორი ლელოც, როცა ჩვენებმა „ზვეზდას“ შუამარბებს შორის გაარღვიეს დაცვა, მართლაც სამაგალითო იყო. დაბოლოს, შეუძლებელია ქებით არ მოვიხსენიოთ საცერაძე, რომელმაც ახალ ამპლუაში — მცველადაც კარგად ითამაშა და კარში დარტყმისას უდანაკარგო შედეგსაც მიაღწია: 7 შესაძლებლიდან 7 გოლი გაიტანა, რითაც გუნდს 18 ქულა შესძინა.

* * *

ამავე ტურში ქვეყნის ორგზის ჩემპიონმა ქუთაისის „აიამ“ ტირასპოლის „ელექტრომაშს“ უმასპინძლა და გაიმარჯვა — 20:9.

სხვა შეხვედრათა შედეგები: „სლავა“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 35:10; „ავიატორი“ (კიევი) — ასკ (ალმა-ათა) 18:9, ეტს (კრასნოიარსკი) — „სლავა“ (მოსკოვი) 14:6.

დღესდღეობით გუშინდელი მატჩების ჩაუთვლელად) გათამაშების ცხრილში 6 თამაშიდან 11 ქულით პირველ ადგილზეა ქუთაისის „აია“; მოსკოვის „ფილის“ 9 ქულა მოუგროვდა (6 თამაშიდან), მონინოს სსა-ს — 8 (5), ეტს-სა და „ლოკომოტივს“ — 8-8 (7), „ავიატორსა“ და „ელექტრომაშს“ — 8-8 (8), ასკ-ს — 6 (7), „სლავას“ — 6 (8), „ელმავალს“—5 (5), „ზვეზდას“ — 5 (8), „სპარტაკს“ — 0 (7).

შენიშვნა: კვლავ შეგახსენებთ, რომ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული მორაგბეთა ჩემპიონატის ცხრილები დროებით ემყარება ქულათა დარიცხვის კლასიკურ სისტემას (მოგება — 2 ქულა, ფრე— 1, წაგება — 0), რადგან შეჯიბრების ამ ეტაპზე მრავალი მატჩია გამოტოვებული და, ჩვენი აზრით, სადღეისოდ „კლასიკური“ ცხრილი უფრო ნათლად ასახავს გუნდების რეალურ სატურნირო მდგომარეობას. სხვათა შორის, „სოვეტსკი სპორტი“ ხშირად აღნიშნავს, რომ ოფიციალური ცხრილის სათავეში მოქცეული გუნდები „ჭეშმარიტი“ ლიდერები არ არიან, ასე რომ, რაგბის საკავშირო ფედერაციის მიერ 1979 წელს ფრანგების წაბაძვით შემოღებული სისტემის (მოგება — 3 ქულა, ფრე — 2, წაგება — 1) დროებითი კორექტირება პრაქტიკულად გამართლებული და დასაშვებია.

* * *

6 და 7 მაისს საქართველოს სპორტსახკომის ვარკეთილის საწვრთნელი ცენტრის სარაგბო მოედანზე გაიმართა პირველი ლიგის გუნდების მატჩები. თბილისის „მშენიმ“ დაამარცხა ტაგანროგის „რადუგა“ — 10:0 (0:0), თბილისის ასკ-მ მოუგო დნეპროპეტროვსკის „პრესს“ — 13:6 (10:0).

10 მაისს გაიმართება საკავშირო თასის გათამაშების მერვედფინალური შეხვედრები. ამ დღეს „ელმავალი“ უმასპინძლებს მოსკოვის „ლოკომოტივს“, „აია“ კი, სასპარეზოდ რუმინეთს გამგზავრების გამო, იელგავის „რაფს“ მოგვიანებით, იელგაში მისსავე მოედანზე ეთამაშება.

## I ლიგა

**ᲒᲐᲜᲕᲚᲘᲚ** შაბათს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების VII ტურის შეხვედრები.

წარმატებას მიაღწია ქუთაისის ტორპედოელთა კოლექტივმა, რომელმაც მიიღო ორჯონიკიძის „სპარტაკი“. ქუთაისელებმა კარგად ითამაშეს და ანგარიშით 2:0 დაამარცხეს მეტოქე. სტუმართა კარში პირველი ბურთი 11-მეტრიანით გაიტანა დარასელიამ, ხოლო მეორე— შავდათუაშვილმა.

ვორონეჟში ქულა მოიპოვა ლანჩხუთის „გურიამ“, რომელმაც ადგილობრივ „ფაკელთან“ შეხვედრა ფრედ დაამთავრა — 0:0.

ბათუმის დინამოელებმა კიშინიოვში დაძაბული ბრძოლის შემდეგ წააგეს გათამაშების ერთ-ერთ ლიდერ „ნისტრუსთან“ — 0:1.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 0:0, ცსკა — „გეოლოგი“ (ტიუმენი) 4:0, „კუზბასი“ (კემეროვო) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 0:0, „დაუგავა“ (რიგა)— „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 1:4, „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 0:0, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „კაირატი“ (ალმა-ათა) 1:1, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 5:2.

**ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ**

**მდგომარეობა 9 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 7 | 6 | 0 | 1 | 20-2 | 12 |
| „ნისტრუ“ | 7 | 5 | 0 | 2 | 8-6 | 10 |
| „ნეფთჩი“ | 7 | 4 | 2 | 1 | 8-5 | 10 |
| „ფაკელი“ | 7 | 3 | 4 | 0 | 4-0 | 10 |
| „კაირატი“ | 7 | 3 | 3 | 1 | 8-6 | 9 |
| „ფახთაქორი“ | 7 | 3 | 2 | 2 | 9-4 | 8 |
| „დინამო“ სტ. | 6 | 2 | 4 | 0 | 3-1 | 8 |
| „მეტალურგი“ | 6 | 3 | 1 | 2 | 6-5 | 7 |
| „ყუბანი“ | 7 | 3 | 1 | 3 | 7-13 | 1 |
| „ტავრია“ | 6 | 2 | 3 | 1 | 10-8 | 7 |
| „სპარტაკი“ | 7 | 2 | 3 | 2 | 5-5 | 7 |
| ასკ რ. | 6 | 3 | 0 | 3 | 10-8 | 6 |
| „კოტაიკი“ | 6 | 2 | 2 | 2 | 6-2 | 6 |
| „როსტსელმაში“ | 6 | 1 | 3 | 2 | 6-8 | 5 |
| „დინამო“ ბ. | 6 | 1 | 3 | 2 | 3-8 | 5 |
| „ტორპედო“ | 5 | 2 | 0 | 3 | 6-10 | 4 |
| „გურია“ | 5 | 1 | 2 | 2 | 6-5 | 4 |
| „შინიკი“ | 6 | 1 | 2 | 3 | 4-8 | 4 |
| „გეოლოგი“ | 5 | 1 | 1 | 3 | 2-6 | 3 |
| „კუზბასი“ | 7 | 0 | 3 | 4 | 1-7 | 3 |
| „დაუგავა“ | 7 | 0 | 3 | 4 | 4-12 | 3 |
| ასკ „კარპატი“ | 7 | 0 | 2 | 5 | 4-11 | 2 |

# ქალებიც. გოგონებიც...

**ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ** სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს ფეხბურთის სამმართველოს განზრახული აქვს წლეულს მაის-ივნისში ჩაატაროს პირველი ჩემპიონატი ქალთა გუნდებს შორის, რომლის მონაწილე ფეხბურთელთა ასაკი უნდა იყოს 16 წელი და ზევით. შემდეგ გაიმართება 13-15 წლის გოგონათა პირველობა.

ამ საინტერესო ასპარეზობების ჩატარებასთან დაკავშირებით საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭო მიმართავს საოლქო, საქალაქო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის პროფკავშირულ ორგანიზაციებს, აგრეთვე შეჯიბრებაში ქალთა და გოგონათა გუნდებით მონაწილეობის მსურველთ 20 მაისამდე თავიანთი თანხმობა აცნობონ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს ფეხბურთის სამმართველოს, მისამართით: 380019 თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №95-ა. ტელეფონი 34-76-19, 35-14-38.

**ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ,**
**პროფკავშირების ნფსს რესპუბლიკური საბჭოს ფეხბურთის სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიწვევთ იუბილარი



**დელისის** იპოდრომისათვის 1989 წელი საიუბილეო თარიღი გახლავთ, რადგან ზუსტად ოცდაათი წლის წინათ მიიღო მან პირველი მაყურებელი და ამ ხნის განმავლობაში ეს სარბიელი ცხენოსნობის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად იქცა მთელს კავშირში. საინტერესო სანახაობით ალსავსე იქნება ახალი სეზონი, რომელიც ტრადიციულად 9 მაისს გაიხსნება და 22 ოქტომბრამდე გასტანს.

— ცხენთგამოცდაზე, — თქვა იპოდრომის დირექტორმა მიხეილ ტატიშვილმა, — წარდგებიან ახალთექური და წმინდასისხლიანი ინგლისური ჯიშის ცხენები. მაყურებელი სარბენ ბილიკებზე იხილავს ქვეყნის 12 ცხენსაშენისა და სანაშენე ფერმების ცხენთა შემადგენლობას, თბილისელთათვის კარგად ნაცნობ ისიკ-ყულის, ბესლანისა და ყულარის წარმომადგენლებთან ერთად, პირველად წარსდგება ჩვენს იპოდრომზე ლაბინსკის ცნობილი ცხენსაშენი. სულ გამოცდას გაივლის 270 ცხენი. ეს ცოტა არ არის, მაგრამ აქვე შევნიშნავ, რომ ამ სეზონში უნდა გამოგვეცადა 434 ბედაური, მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენი თავლების უმეტესობა სხვადასხვა უწყებებსა და ორგანიზაციებს უკავია, ცხენთა ასეთი რაოდენობის მიღება ვერ შევძელით. ეს საკითხი მომავალშიც ვერ მოგვარდება, თუ რადიკალური ზომები არ იქნა გატარებული. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის ცნობილ დადგენილებაში, რომელიც ჩვენში ცხენოსნობის შემდგომ განვითარებას ეხება, მითითებულია, რომ ყოველწლიურად თბილისის იპოდრომზე 500-მდე ცხენი უნდა გამოიცადოს. ამის სტატუსიც გვაქვს, რაც, ვიმეორებ, ზემოდასახელებული მიზეზის გამო არ სრულდება. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ შარშან დელისის იპოდრომზე ახალთექური ცხენების ორი საკავშირო რეკორდი დამყარდა, ხოლო თვით სეზონის მაჩვენებლებით ჩვენი სარბიელი ქვეყნის პირველ ხუთეულში დამკვიდრდა. სწორედ ამან განაპირობა, რომ საკავშირო აგრომრეწვმა ცხენთა საკმაო რაოდენობის მოწვევის უფლება მოგვცა. ცხენთა რაოდენობის დაკლება იპოდრომის ეკონომიკურ მაჩვენებელს დაასვამს დაღს, მით უმეტეს, წელს, როცა თვითდაფინანსებაზე გადავედით. ცხენთგამოცდაში წელს მონაწილეობენ ოსტატი-მხედარი ო. ბაბალიევი (თურქმენეთი), დ. თაბაგარი (თბილისი), ა. სანდენბეკოვი (თურქმენეთი), ე. ემინოვი, გ. გუსეინოვი (ყულარის ცხენსაშენი), ი. გორბუნოვი, ვ. მელენტიევი, ა. მოსკალენკო (რსფსრ) და სხვები. დასანანია, რომ რესპუბლიკის ღირსებას მხოლოდ თბილისელი დ. თაბაგარი დაიცავს, რაც, ალბათ, იმითაა გამოწვეული, რომ ყულარის ცხენსაშენი მარნეულის რაიონშია და მხედრების მომზადება არ ხერხდება. ბევრჯერ დაისვა საკითხი იმის თაობაზე, რომ ყულარის ცხენსაშენი შეერთებოდა თბილისის იპოდრომს. ამის შესახებ არის კომპეტენტური კომისიის დასკვნაც, მაგრამ საქმეს თავი ვერ მოება და არც ქართველი მხედრები მზადდება. ვფიქრობ, ეს საკითხი კვლავ უნდა დადგეს დღის წესრიგში.

სეზონის განმავლობაში ცხენოსნობის ქომაგები, იხილავენ აგრეთვე შეჯიბრებებს სტიპლ-ჩეისსა და ცხენოსნობის როგორც კლასიკურ, ისე ეროვნულ სახეობებში. გათამაშდება აგრეთვე ლატარეა 40 ავტომანქანა „ჟიგულის" ურიგოდ შესაძენად, იმუშავებს ტოტალიზატორი. ვიმედოვნებთ, რომ ამ სეზონში ცხენოსნობის მოყვარულები მიმზიდველი და ლამაზი ღონისძიებების მოწმენი გახდებიან.

1941-1945

# სსრ კავშირის გმირი — სპორტსმენიც იყო

**სამამულო** ომის გმირთა ისტორიაში კარგადაა ცნობილი საბჭოთა კავშირის გმირის კარლო მებაღიშვილის სახელი. მის პოპულარობას ხელი იმანაც შეუწყო, რომ იგი თავისი დროის ცნობილი სპორტსმენი იყო — არაერთხელ მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ჩემპიონატებსა და ტურნირებში, როგორც სიმძიმეების აწევაში, ისე ტანვარჯიშში.

კარლო მებაღიშვილი დაიბადა 1920 წელს თბილისში. მის თვითმფრინავს მტრის არაერთი პოზიცია გაუნადგურებია, ბრძოლაში გამოჩენილი სიმამაცისთვის კარლო მებაღიშვილი დაჯილდოებული იყო ლენინის, სამი წითელი დროშის, სამამულო ომის მეორე ხარისხისა და ორი წითელი ვარსკვლავის ორდენებით. ომის დასასრულს კი ბრძოლებში მოპოვებული წარმატებებისთვის მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურის დროს სიმძიმეების აწევაში მინსკში გამართულ შეჯიბრებაში კარლო მებაღიშვილმა ბელორუსიის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

40 წლის წინათ წულუკიძის რაიონში დაიღუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. მადლიერმა ქართველმა ხალხმა გმირის დამსახურება არ დაივიწყა. მისი სახელი ეწოდა ახალციხის კულტურისა და დასვენების პარკს (ომამდე იგი ახალციხის სახალხო თეატრის წამყვანი მსახიობი იყო), თბილისში კი, გლდანის რაიონში საბჭოთა კავშირის გმირის კარლო მებაღიშვილის სახელს ატარებს ერთ-ერთი ქუჩა. მემორიალური დაფა ამშვენებს კალინინის ქუჩაზე მის ყოფილ სახლს, გამარჯვების პარკში საბჭოთა კავშირის გმირებს შორის მის სახელსაც საპატიო ადგილი უკავია. ახალციხეში ტარდება გმირის სახელობის ტურნირი მოკრივეთა შორის. სასურველი იქნებოდა, რომ მფრინავისა და სპორტსმენის სახელობის ეს ტურნირი უფრო მასშტაბური გამხდარიყო.

**მზია თმამელი.**

საქართველოს ჩემპიონატი წყალბურთში

# ნუ ვუღალატებთ ტრადიციებს

**საქართველოს** წყალბურთელთა ჩემპიონატის პირველ ტურს ბათუმის ცენტრალურმა საცურაო აუზმა უმასპინძლა. საასპარეზოდ ჩამოვიდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ქუთაისის, რუსთავის, თბილისის „დინამო"-2-ისა და თბილისის ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლის გუნდები. ტურნირში ბათუმელებიც მონაწილეობდნენ. ობიექტური მიზეზებით აჭარის დედაქალაქში ვერ ჩამოვიდნენ თბილისის უნივერსიტეტისა და ასკ-ის კოლექტივები, რამაც, ცხადია, ერთგვარად დააცხრო ბრძოლის სიმძაფრე.

გასულ წლებში ბათუმს წყალბურთელთა შესანიშნავი გუნდი ჰყავდა. აქ აღზრდილი წყალბურთელები ღირსეულად იცავდნენ არა მარტო რესპუბლიკის, არამედ ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებასაც. მაშინ აქ მწვრთნელთა პრობლემაც არ იდგა. დღეს, გულახდილად ვთქვათ, ბათუმში სპორტის ეს სახეობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება. ბათუმში არ არის არც ერთი საშუალო კლასის სპორტსმენიც კი და ასეთი გუნდით ასპარეზობას, ვფიქრობთ, აზრი არ ჰქონდა. მით უფრო გასაკვირია და დამაფიქრებელი სპორტის ამ სახეობის ჩამორჩენა, რომ ბათუმს აქვს შესანიშნავი თანამედროვე საცურაო აუზი კეთილმოწყობილი გასახდელებითა და საშხაპეებით, საუნით, სასტუმრო ოთახებითა და ტრიბუნებით. სამწუხაროდ, ტურნირის მანძილზე ეს ტრიბუნები მხოლოდ მონაწილე გუნდების წევრებს ეკავათ. წყალბურთელთა შეჯიბრებებზე ბათუმელი მაყურებელი რომ არ დადის, ესეც ადგილობრივ წყალბურთელთა ბრალია, რადგან მათი დაბალი ოსტატობის დონემ ვერ დააინტერესა სპორტის ამ სახეობის ბათუმელი მოყვარულები.

წარსული მოვიხსენიეთ, შესანიშნავი წყალბურთელებითა და საუკეთესო ტრადიციებით. მაშინ ხომ ბათუმში არც ერთი საცურაო აუზი არ იყო. წვრთნაც და შეჯიბრებებიც ზღვაში ტარდებოდა. არადა, ზღვა თავისი ჭირვეულობით ამის პირობებს ყოველთვის როდი იძლეოდა.

ტრადიციებს არ ეღალატება!

ახლა კი ტურნირის შედეგებზე. ყველაზე უკეთ პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი გამოვიდა. მან თანმიმდევრულად დაამარცხა თბილისის ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლის (8:3), თბილისის „დინამო"-2-ის (10:9), რუსთავის (9:3), ქუთაისისა (3:2) და ბათუმის (6:3) გუნდები. მეორე ადგილზეა ქუთაისის გუნდი. მან მხოლოდ ერთ შეხვედრაში იწვნია მარცხი. მესამე ადგილი წილად ხვდა თბილისის „დინამოს" მეორე კოლექტივს. ძალზე უფერულად დაამთავრეს ასპარეზობა რუსთავის წყალბურთელებმა.

მეორე ტურის შეხვედრები გაიმართება ივლისში, ხოლო მესამესი — სექტემბერში.

**„ლელოს" საკ. კორ.**

ბათუმი.

## „სპორტლოტო"

**მოსკოვში** გუშინწინ გაიმართა „სპორტლოტოს" მე-19 ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან: 2, 4, 15, 20, 37, 44.**

**„სპორტლოტო 5 36"-დან: 11, 13, 14, 15, 21.**

## „სპორტპროგნოზი"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის" მე-18 ტირაჟის შედეგები, რომელიც 1989 წლის 29.IV-2.V გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 4.084.852 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (279) მოგება 229 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (4702) — 27 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (35298) — 12 მანეთი.

საქართველოში: 13—18, 12 — 355, 11 — 2278.

მე-18 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1989 წლის 22 მაისიდან 22 ივნისის ჩათვლით.

# „სუპერვარსკვლავი" ემშვიდობება კალათბურთს

**როგორც** ჩანს, ადრე თუ გვიან „სუპერვარსკვლავებიც" უნდა წავიდნენ სპორტიდან. კარიმ აბდულ ჯაბარი პროფესიული კალათბურთის ლიგაში (ნბა) 20 წლის მანძილზე გამოდიოდა და ყველას აოცებდა თავისი ბრწყინვალე ოსტატობით. იგი იყო ლიგის ყველაზე სასარგებლო მოთამაშე, ყველაზე კარგი სნაიპერი, ყველაზე შეუპოვარი მებრძოლი და ბევრი სხვა ღირსებით დაჯილდოვებული „სუპერვარსკვლავი".

42 წლის ასაკში აბდულ ჯაბარმა გადაწყვიტა თავი მიანებოს კალათბურთს. საყვარელ სპორტთან განშორება მთელი სეზონის მანძილზე გრძელდება და სულ მალე ბოლო გამოსათხოვარი მატჩიც ჩატარდება.

ამერიკული კალათბურთელები და გულშემატკივრები მადლიერების გრძნობით აცილებენ სპორტსმენს, რომელმაც 20 წლის განმავლობაში მათ ბევრი სიხარული მოუტანა. ამ რამდენიმე ხნის წინ „სიეტლ სუპერსონიკთან" მატჩის შემდეგ (იგი მოიგო ჯაბარის კლუბმა — „ლოს-ანჯელეს ლეიკერსმა") მოეწყო 45-წუთიანი გამოსათხოვარი შოუ. „ტახტზე" მჯდომი თვალცრემლიანი იუბილარი აღელვებული იღებდა მილოცვებს.



მისმა საკუთარმა კლუბმა „ლეიკერსმა" ჯაბარს ახალთახალი ავტომანქანა „როლს-როისი" მიართვა. მაჯიკ ჯონსონმა („ლეიკერსის" მეორე სუპერვარსკვლავია) ასეთი სიტყვებით მიმართა თანაგუნდელს: „ავტომანქანას გჩუქნით იმიტომ, რომ მთელ გუნდს საკუთარ ზურგზე „მიათრევდი", ახლა დარჩენილი გზის გავლას „როლს-როისი" გაგიადვილებს".

„ლეიკერსის" მფლობელმა ჯერი ბასამ იუბილარს თავისი და კლუბის სხვა ხელმძღვანელთა სახელით აჩუქა ჩოგბურთის კორტი: „ამ საჩუქარს ვუძღვნით მსოფლიოს უდიდეს კალათბურთელს, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავდა ყველა და რომელმაც გუნდს ხუთჯერ მოაგებინა ჩემპიონის ტიტული. მან ჩვენ გვასწავლა გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე კალათბურთის თამაში" — ამ სიტყვებით დაამთავრა თავისი გამოსვლა ჯერი ბასამ.

ლოს-ანჯელესის გარეუბნის ინგლვუდის მერმა ედ ვინსენტმა განაცხადა, რომ ქუჩას, რომელზეც „ფორუმის" სტადიონი მდებარეობს აბდულ ჯაბარის სახელი დაერქმევაო.

მაგრამ „სუპერვარსკვლავს" თავისი ბოლო მატჩი ჯერ არ უთამაშია. მაყურებლები, მისი ნიჭის თაყვანისმცემლები და მთელი ამერიკა აბდულ ჯაბარს კიდევ იხილავს ნბა-ს ჩემპიონატის დამატებით შეხვედრებში.

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 9 მაისი.** დილის ვარჯიში — **9.00(2)**; ჰოკეი. ლიგის თასი. ნახევარფინალი — **13.55 (2)**; გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრება რიკაობაში — **20.20**; მშვიდობის ველორბოლა — **21.30 (2)**.

**10 მაისი.** დილის ვარჯიში — **9.00(2)**; რიტმული ტანვარჯიში — **13.05(2)** და **19.36(2)**; მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში, შესარჩევი მატჩი: თურქეთი (ნაკრები) — სსრ კავშირი (ნაკრები). გადაცემა თურქეთიდან — **20.20(1)**; მშვიდობის ველორბოლა — **23.50 (2)**.

**საქართველოს ტელევიზია. 10 მაისი.** მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. შესარჩევი მატჩი: თურქეთი (ნაკრები) — სსრ კავშირი (ნაკრები). გადაცემა თურქეთიდან — **20.20.**

**საქართველოს რადიო. 9 მაისი.** სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში I ლიგა: „ტორპედო" (ქუთაისი) — „ნეფთჩი" (ბაქო) — **22.00.**

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 11 მაისს.

**რედაქტორი**
**თ. ბაჩეჩილაძე.**

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი" — 93-97-36, „ნართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10 363